

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ბოლო წლებში შინამეურნეობების სესხებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს გლობალური ტენდენციაა და მას ძირითადად ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება განაპირობებს. თუმცა, სარგებელთან ერთად, ამ პროცესს თან ახლავს რისკები, რომლებიც საქართველოს შემთხვევაში, განსკუთრებით მაღალია. კერძოდ, მოსახლეობის დაბალი ფინანსური განათლების პირობებში მსესხებლებს უჭირთ ობიექტურად შეაფასონ ვალის ტვირთი და მისი მომსახურების შესაძლებლობა. დამატებით, ხშირ შემთხვევაში, მსესხებელი ზედმეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი თავის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში. ასეთ პირობებში, სესხების აგრესიული მარკეტინგი და მათი გამარტივებული ხელმისაწვდომობა აჩენს საფრთხეს, რომ შინამეურნეობამ აიღოს ჭარბი ვალი და გახდეს ვალაუვალი. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელს, როგორც წესი, ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშზე და პოტენციური სამართლებრივი აღსრულების შიშით, უმცირდება ფორმალური დასაქმების მოტივაცია, რაც პრობლემას წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკისთვის. ამასთან, უარესდება მოსახლეობის ამ ნაწილის სოციალური მდგომარეობა და იზრდება მისი საზოგადოებიდან გარიყვის რისკები.

ბუნებრივია, მსესხებლის გადახდისუნარიობა კრედიტორის ინტერესებში არ შედის მაღალი საკრედიტო დანაკარგების გამო. თუმცა, თუ საპროცენტო განაკვეთები იმდენად მაღალია, რომ გადახდისუნარიანი მსესხებლების შენატანები დააკომპენსირებს აღნიშნულ დანაკარგებს, მაშინ დაკრედიტების ასეთი ბიზნეს მოდელი მდგრადია. პრაქტიკაში ეს ბოლო წლების სტატისტიკიდანაც დასტურდება - ფინანსური ინსტიტუტების სწრაფი საცალო სესხების პორტფელი სტაბილურად მომგებიანია, იმის პარალელურად, რომ იზრდება ვადაგადაცილების მქონე მსესხებლების რაოდენობა. ასეთი ტენდენცია პრობლემა ქვეყნის ეკონომიკისთვის და არასასურველია თავად ფინანსური სექტორის გრძელვადიანი განვითარებისთვის; სახეზეა ბაზრის ჩავარდნა (Market Failure) და საჭიროა ჩარევა რეგულაციებით, რომლებიც ფინანსურ ინსტიტუტებს პასუხისმგებლიანი დაკრედიტებისკენ უბიძგებს.

2016 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელდა ცვლილება და დაწესდა სესხზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ე.წ. ონლაინ სესხების აგრესიული მარკეტინგი და ზოგადად ამ სეგმენტის ზრდა. თუმცა, მალევე, ის ჩაანაცვლა ანალოგიურმა საბანკო პროდუქტმა. კომერციულ ბანკებს, მასშტაბის გამო, ბევრად მაღალი ეფექტიანობა აქვთ, უფრო დეტალურ ინფორმაციას ფლობენ საკუთარ მრავალრიცხოვან კლიენტებზე და უფრო მძლავრი გაყიდვების არხები აქვთ, რაც საშუალებას იძლევა მაღალრისკიან მსესხებლებზე, თუნდაც 95%-ად გაცემული კრედიტის შემთხვევაში, სასურველი მოგება მიიღონ. ამასთან, საკითხის სიღრმისეული მოკვლევა ცხადყოფს, რომ აღნიშნულ სასესხო პორტფელში ვადაგადაცილებების რაოდენობა დიდია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კრედიტორების მიერ სესხის გაცემისას არ ხდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, როგორც ამას

დაკრედიტების ჯანსაღი პრაქტიკა მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში, მსესხებელი პირები კარგავენ სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულ ქონებას, რაც მათი ერთადერთი საარსებო წყარო შეიძლება იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საფრთხე ექმნება იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი დაწესდა - მომხმარებლების დაცვა ჭარბვალთანობისგან.

ამიტომ, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტის შემცირება, რათა მან უკეთესად უპასუხოს მიმდინარე გამოწვევებს და ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრებას.

გარდა ამისა, ბაზარზე შეიმჩნევა ტენდენცია, რომ შეზღუდული საპროცენტო განაკვეთების პირობებში, კრედიტორები ცდილობენ მისაღები შემოსავლები მაღალი ჯარიმებით დააბალანსონ. არსებული ლიმიტები ამ მხრივაც გადახედვას საჭიროებს, რათა ისედაც ფინანსური სიმძნელების მქონე მსესხებელს ჭარბი ოდენობით ჯარიმები არ დაეკისროს. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებით დაწესდა სესხზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების მაქსიმალური დღიური ლიმიტი - წლიური 150% (ანუ დღეში დაახლოებით 0,41%), ის არ ზღუდავს აღნიშნული ხარჯების დაკისრების ხანგრძლივობას. ლოგიკურია, რომ თუ მომხმარებელი ხანგრძლივი პერიოდით ვერ ახერხებს სესხის მომსახურებას, მასზე დამატებით ფინანსური ხარჯების დაკისრება უსასრულოდ არ უნდა ხდებოდეს. აქვე, ზღვრების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები, რომ ჯარიმა-საურავებს გააჩნიათ სანქციის ფუნქციაც, რაც მსესხებლის დისციპლინირებულ ქცევას უზრუნველყოფს. ამიტომ, ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2017 წლის იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებით, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ჯარიმების შეზღუდვასთან ერთად, აიკრძალა უცხოურ ვალუტაში 100 000 ლარამდე სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებზე. ერთიანი მიდგომებისა და მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლადი ფენის სავალუტო რისკებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია იგივე შეზღუდვა გავრცელდეს ლიზინგსა და განვადებით ნასყიდობის შემთხვევაზეც და კანონით განისაზღვროს, რომ განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში გამყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის მიღება, ხოლო ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის გამცემის მიერ საზღაურის მიღება ფიზიკური პირებისაგან (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეებისაგან) არ უნდა იყოს უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.

გარდა ზემოხსენებულისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო სამართლებრივი საშუალებები - გირავნობა და იპოთეკა არ განსაზღვრავს მოვალის სამართლებრივი დაცვის მექანიზმს კრედიტორის მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. გირავნობა და იპოთეკა დღევანდელ რეალობაში არა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, არამედ კრედიტორის (ე.წ. „მევახშეების“ და ლომბარდების) ძირითადი ინტერესი გახდა. ხშირ შემთხვევაში, კრედიტორი თვითონ არის დაინტერესებული მოვალის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევით, რათა მას მიეცეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებისა და გირავნობით დატვირთული მოძრავი ქონების/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დასაკუთრების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსახლეობის ჭარბვალთანობის პრობლემის გადასაჭრელად, დღის წესრიგში დადგა საკითხი, დარეგულირებულყო საკრედიტო ურთიერთობები მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინტერესების

გათვალისწინებით, ასევე, დახვეწილიყო რეგულაციები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების/კრედიტების უზრუნველყოფის სანივთო-სამართლებრივ საშუალებებთან დაკავშირებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებში, ასევე მოსახლეობის ჭარბვალიანობის რისკის შემცირება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, კოდექსის 254-ე მუხლს ემატება მე-6 და მე-7 ნაწილები, რომელთა თანახმადაც, ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება, ასევე, წყლის, საჭაერო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფაზე.

კოდექსიდან ამოღებულ იქნება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც არეგულირებს ლომბარდის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხს გირავნობის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმის ამოღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი რეგულირებული იქნება 276-ე მუხლით, რომელიც ასევე გავრცელდება ლომბარდებზე.

276-ე მუხლს ემატება სპეციალური ნორმა მე-3 ნაწილის სახით, რომელიც დაარეგულირებს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხიდან გამომდინარე მოთხოვნის გირავნობის საგნიდან დაკმაყოფილების საკითხს. აღნიშნული ნორმის თანახმად, ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნება დადგენილი.

მსგავსი შინაარსის ცვლილებები შედის იპოთეკასთან მიმართებითაც. კერძოდ, 286-ე მუხლს ემატება მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილები, რომელთა თანახმადაც, ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი ან სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი. აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირის და სესხის გაცემის სუბიექტის მიერ დასადებ/დადებულ სესხის/კრედიტის ხელშეკრულებაზე. ამასთან, გამონაკლისი დგინდება ასევე იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც უძრავ ქონებას გაცემული სესხის სანაცვლოდ უზრუნველყოფის სახით იღებენ საცხოვრებელი მიზნით და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც უძრავ ქონებას გაცემული სესხის სანაცვლოდ უზრუნველყოფის სახით იღებენ ადგილსამყოფლად (იურიდიულ მისამართად) გამოყენების მიზნით. ამასთან, თუ ერთი და იგივე ფიზიკური პირის (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმის) ან იურიდიული პირის სასარგებლოდ რეგისტრირებულია ორი იპოთეკის უფლება, მესამე და ყოველ მომდევნო იპოთეკის ხელშეკრულების დადებაზე გავრცელდება მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა (ვერ იქნება გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად). აღნიშნული დანაწესით თავიდან იქნება აცილებული ე.წ. „მევახშეების“ მხრიდან სესხის მიზნობრიობის არაკეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობა.

მე-300 და 301-ე მუხლებს ემატება სპეციალური ნორმები 2¹ და 1² ნაწილების სახით, რომლებიც დაარეგულირებს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხიდან გამომდინარე მოთხოვნის იპოთეკის საგნიდან დაკმაყოფილების საკითხს. კერძოდ, ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება, ხოლო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავს მოთხოვნის ოდენობას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კოდექსის 477-ე მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში, თუ ნასყიდობის ფასის გადახდა ხდება ფულადი თანხით, ნასყიდობის ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ასევე 624¹ მუხლი, რომლის თანახმადაც, უძრავი ქონებით ან/და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებით ან/და სასოფლო სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებით, ასევე, წყლის, საჰაერო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, სავალდებულო იქნება, რომ გამსესხებელმა მსესხებელს ფულადი სახსრები გადასცეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. აღნიშნული დანაწესით ე.წ. „მევახშეების“ მიერ სესხის სახით ფაქტობრივად გაცემული და მიღებული ფულადი სახსრები, ასევე უძრავი ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში გადახდილი თანხები, აისახება საბანკო დაწესებულებების ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემაში და ერთი მხრივ გამარტივდება ფულადი სახსრების გაცემა/მიღების მტკიცების პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, დამატებითი მექანიზმი შეიქმნება ამ მიმართულებით გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 505¹ მუხლს ემატება მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც განვადებით ნასყიდობისას გამყიდველის მიერ 100 000 (ასი ათას) ლარამდე ნივთის ფასის მიღება ფიზიკურ პირისაგან (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისაგან) არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.

რაც შეეხება ლიზინგს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლს ემატება მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის

დადგენილი და ლიზინგის მთლიანი საზღაური არ აღემატება 100 000 (ასი ათას) ლარს, ლიზინგის გამცემის მიერ ფიზიკური პირისაგან (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისაგან) საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული. ამასთან, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება განსხვავებული მოთხოვნები დაუდგინოს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სუბიექტებს შესაბამისი ნორმატიული აქტით. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილების თანახმად, საბანკო საქმიანობას დაემატა ქონების ლიზინგით გაცემა და ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს ქონებით ლიზინგის გაცემის კრიტერიუმები.

ცვლილების თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 625-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 ნაწილები, ასევე 625-ე მუხლს ემატება მე-3¹ ნაწილი. კერძოდ:

მცირდება სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზედა ზღვარი. მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ყველა სახის სესხზე, ასევე იპოთეკური სესხებისათვის მხარეთა შეთანხმებით ყოველთვიურად გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის წლიურ ოდენობაზე.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეულ დღეზე. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება ვადაგადაცილებისას (ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის ან მისი ექვივალენტის უცხოურ ვალუტაში, ასევე, ამავე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვისას, წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება.

სესხის ვადაგადაცილებისას, ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე, ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთი და ისეთი ხარჯები, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ამ ნაწილის მიზნებისათვის სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის გადავადების, რეფინანსირების და/ან რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი, ხოლო ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრად არ მიიჩნევა ვადაგადაცილების აღმოფხვრა სესხის რესტრუქტურიზაციის, რეფინანსირების და/ან გადავადების გზით. ანუ, თუ მოხდა ვადაგადაცილებული სესხის რეფინანსირება, გადავადება ან რესტრუქტურიზაცია, ამ გზით შეუძლებელი იქნება ზემოაღნიშნული ლიმიტების გაზრდა, რამდენადაც სესხის ძირითადი

თანხის მიმდინარე ნაშთად მიიჩნევა იგივე მოცულობა, რაც სესხის ზემოაღნიშნული ცვლილებების (რესტრუქტურისაცია, რეფინანსირება და/ან გადავადება) განხორციელებამდე იყო, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ხდება არსებულ სესხზე დარიცხული პროცენტის, ჯარიმის ან სხვა ნებისმიერი ფინანსური ხარჯის სესხის ძირში კაპიტალიზაცია. ასეთი შეზღუდვის მიზანია, რომ კრედიტორმა შეზღუდვის გვერდის ავლის მიზნით რესტრუქტურისაცია/რეფინანსირების გზით არ მოახდინოს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ზრდა და, შედეგად, ვადაგადაცილებისას არსებულ ძირზე დამატებით, 1.5-მაგ ოდენობაზე მეტი ხარჯის მომხმარებლისთვის დაკისრება. აღსანიშნავია, რომ შეზღუდვა ვრცელდება არამართო ლიმიტს ზემოთ მსესხებლისთვის თანხების მოთხოვნასა და/ან აღებაზე, არამედ მისი გათვალისწინება უნდა მოხდეს მსესხებელთან დადებულ ხელშეკრულებაშიც.

ზუსტდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 628¹ მუხლი და 868-ე მუხლის მე-8 ნაწილი, სადაც ფიზიკურ პირებთან ერთად ჩაიწერა ინდივიდუალური მეწარმეებიც. ასევე ზუსტდება 868-ე მუხლის მე-7 ნაწილი, სადაც საპროცენტო განაკვეთთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციასთან ერთად, მითითება კეთდება ფინანსურ ხარჯზეც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გარკვეული სახის გავლენა მოახდინოს იმ პირებზე, რომელთა საქმიანობის სფეროა უზრუნველყოფილი სესხების გაცემა, რამდენადაც იზღუდება სატრანსპორტო საშუალებებისა და უძრავი ქონების დატვირთვა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად, კანონპროექტით ასევე დგინდება მსესხებელ პირთა ფინანსური დაცვის გარანტიები. ამ ეტაპისათვის იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რა სახის გავლენას იქონიებს კანონპროექტი იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, ვისზეც გავრცელდება იგი, შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.